# სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

____________________ კახაბერ კირტავა

15. 12. 2016 წელი

ეგზ. N1

## შუახევის მუნიციპალიტეტი
## ფინანსური აუდიტის ანგარიში N 77/36

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

## ს ა რ ჩ ე ვ ი


ზოგადი ინფორმაცია ... 3

**დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ ... 3**

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ... 4

აუდიტორის პასუხისმგებლობა ... 4

**პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ ... 5**

1. წმინდა ღირებულება ... 5
2. ფინანსური აქტივები ... 5
3. სხვა მატერიალური მარაგები ... 5

**პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ ... 6**

**მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა ... 6**

სახელმწიფო შესყიდვები ... 6

ბიუჯეტის შედგენა - შესრულება ... 7

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი ... 9

**ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები ... 10**

## ზოგადი ინფორმაცია

შუახევის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს (ს/კ 247865145), რომელიც შედგება 9 ადმინისტრაციული ერთეულისაგან. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია 7 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მუნიციპალიტეტი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

შუახევის მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი, რომელსაც გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო. 2015 წლის შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიხედვით, შემოსულობებისა და გადასახდელების მაჩვენებლები, შესაბამისად 7 912 904 ლარით და 4 712 207 ლარით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტით შემოსულობები 8 042 100 ლარით და გადასახდელები 8 944 696 ლარით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკასო შესრულება შემოსულობების ნაწილში 7 892 727 ლარს, ხოლო გადასახდელების ნაწილში 8 579 638 ლარს შეადგენს.




*დიაგრამა N1. შემოსულობები/ხარჯები 2014-2015წწ.*

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა შუახევის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების ბალანსებს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, ასევე საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

## პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

### 1. წმინდა ღირებულება

**გარემოება 1.1.** შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის ბალანსის დანართ ფორმა N1-ის მიხედვით, წმინდა ღირებულება წლის დასაწყისისათვის დაფიქსირებულია 12 975 769 ლარი, ხოლო ფორმა N3-ში ფიქსირდება 13 075 366 ლარი.

**გარემოება 1.2.** ა(ა)იპ „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების" 2015 წლის ბალანსის დანართ ფორმა N1-ის მიხედვით, წმინდა ღირებულება წლის ბოლოსათვის დაფიქსირებულია 195 079 ლარი, ხოლო ფორმა N3-ში ფიქსირდება 184 251 ლარი.

**გავლენა**
მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის ბალანსის დანართ ფორმა N3-ში, 99 597 ლარით გაზრდილია წმინდა ღირებულების ნაშთი წლის დასაწყისისათვის, ხოლო ა(ა)იპ „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების" ბალანსში 10 828 ლარით შემცირებულია ნაშთი წლის ბოლოს.

### 2. ფინანსური აქტივები

**გარემოება 2.1.** გამგეობის ბალანსში (დანართ ფორმა N2-2), აქციები და სხვა კაპიტალში (3215) დაფიქსირებულია 1 001 93 ლარი. მუნიციპალიტეტს 2015 წელს შესაბამისი დანიშნულებით ხარჯი არ გაუწევია. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული წარმოადგენს 2011-2012 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „შუახევის წყალკანალის" საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით ფულად შენატანს.

**გავლენა**
მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის ბალანსის დანართ ფორმა დანართ N1-ში, 100 193 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი წინა პერიოდში საწესდებო კაპიტალში შეტანილი წილი.

### 3. სხვა მატერიალური მარაგები

**გარემოება 3.1**. ა(ა)იპ „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების" 2015 წლის ბალანსის დანართ ფორმა N1-ის მიხედვით, სხვა მატერიალური მარაგების ნაშთი წლის დასაწყისში დაფიქსირებულია 9 365 ლარი, ხოლო წლის ბოლოს 7 780 ლარი, ბალანსის დანართ ფორმა N5-ში კი არ ფიქსირდება სხვა მატერიალური მარაგების მოძრაობა.

**გარემოება 3.2.** ა(ა)იპ „შუახევის კულტურის ცენტრის“ 2015 წლის ბალანსის დანართ ფორმა N5-ის შესაბამისად, სხვა მატერიალური მარაგები წლის დასაწყისისათვის მითითებულია 122 624 ლარი, ხოლო ნაშთი წლის ბოლოსათვის 151 554 ლარი. აღნიშნული მონაცემები არ არის დაფიქსირებული ბალანსის დანართ ფორმა N1-ში.

**გავლენა**

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების მიერ, 2015 წლის ბალანსების ფორმებში, აქტივების ღირებულება 153 139 [1] ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

## პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შუახევის მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

## მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

## სახელმწიფო შესყიდვები

- შუახევის მუნიციპალიტეტს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული აქვს 86 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 450 566 ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წელს 450 076 ლარის ანგარიშსწორება განხორციელებულია იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლების მიერ არ არის წარმოდგენილი ინფრომაცია ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ, რითაც დარღვეულია ტექნიკური რეგლამენტი - ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი“[2].

- შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ ფურტიო, ბუთურაული და ნენიის სოფლების ახალი წყალსადენის სისტემის მოწყობის მიზნით, ელექტრონული ტენდერის[3] შედეგად, 2015 წლის 15 დეკემბერს ხელშეკრულება გაუფორმდა [4] შპს „ვლადნეფტპროდუქტის

[1] ა(ა)იპ „შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება“ – 1 585, ა(ა)იპ „შუახევის კულტურის ცენტრი“- 151 554 ლარი

[2] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება

[3] SPA 150025374

[4] ხელშეკრულება N351, 2015 წლის 15 დეკემბერი

წარმომადგენლობა საქართველოში“[5], სახელშეკრულებო ღირებულებით 4 916 999 ლარი[6]. ხელშეკრულებით დასაშვები იყო 2015 წლის ბიუჯეტით გაწერილი თანხის (700 000 ლარი) 20% ავანსის გაცემა, თუმცა ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 დღეში[7], ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც გაიზარდა საავანსო თანხა და 20%-ის ნაცვლად განისაზღვრა 2015 წლის ბიუჯეტით გაწერილი თანხის 100%-ით, რაც შესაძლოა ბიუჯეტის ათვისებისაკენ ყოფილიყო მიმართული. გამგეობის განმარტებით, ხელშეკრულება ითვალისწინება 2015 წელს 700 000 ლარის სამუშაოების შესრულებას, რაც გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო (ორ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა ტენდერში შერჩევა-შეფასების პროცესი) ვერ ხერხდება მიმდინარე წლის ბიუჯეტის ასიგნებებით გათვალისწინებული თანხის სამუშაოების შესრულება, ასევე არსებობდა მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გაზრდის შესახებ, რათა დროულად მოახდინოს სამშენებლო მასალების შემოტანა და 2016 წლის სამუშაოების გრაფიკის დაცვა. აღსანიშნავია, რომ სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტს მოეთხოვებოდა 6 000 000 ლარის სამშენებლო სამუშაოების შესრულების გამოცდილება, ასევე სამშენებლო ტექნიკის ქონა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების ყოლა. აღნიშნული მოთხოვნების ერთ-ერთი მიზანი არის შესყიდვაში მონაწილე პირების ორგანიზაციული და ფინანსური შესაძლებლობის შესწავლა.

2016 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, შპს „ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობას საქართველოში“ შესრულებული აქვს 535 308 ლარის სამუშაო, იმ პირობებში როდესაც გეგმა-გრაფიკის მიხედვით 2016 წელს უნდა შეასრულოს 2 550 000 ლარის სამუშაოები. გეგმა გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან, 128 334 ლარი დაექვითა დარიცხული პირგასამტეხლოს სახით.

## ბიუჯეტის შედგენა - შესრულება

**შემოსულობები**

2015 წელს შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებმა 7 899 334 ლარი შეადგინა, რაც საბიუჯეტო გეგმით განსაზღვრული პროგნოზის (8 042 100 ლარი) 98,22 პროცენტს შეადგენს, ანუ დამტკიცებული გეგმის შესრულებას დააკლდა 142 766 ლარი.

**შემოსავლები**

შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებით, 2015 წელს მიღებული შემოსავლების ფაქტობრივი მოცულობა შეადგენს 7 892 727 ლარს, რაც წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგნოზის (8 042 100 ლარი) 98,14 პროცენტს შეადგენს.

---

[5] აღნიშნული კომპანია დისკვალიფიცირებული იქნა, თუმცა დავების საბჭოს 2015 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, სატენდერო კომისიამ გამოაცხადა გამარჯვებულად

[6] სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა არა უგვიანეს 2017 წლის 1 ნოემბრისა

[7] შეთანხმება N2, 2015 წლის 21 დეკემბერი

### საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 2015 წელს შეადგენს 796 493 ლარს, რაც საპროგნოზო მაჩვენებელზე (915 900 ლარი) 119 407 ლარით ნაკლებია და წლიური საბიუჯეტო გეგმის 86,96 პროცენტია.

### გრანტები

მუნიციპალიტეტს 2015 წლის ბიუჯეტში, გრანტების სახით მიღებული აქვს 6 716 782 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელზე (680 1825 ლარი) 85 043 ლარით ნაკლებია.

| N | დასახელება | გეგმა | საკასო შესრულება | შესრულება % | გადახრა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 333557 | 281813 | 85 | 51744 |
| 2 | გათანაბრებითი ტრანსფერი | 4232700 | 4232700 | 100 | 0 |
| 3 | აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ტრანსფერი | 1629196 | 1597685 | 98 | 31511 |
| 4 | სპეციალური ტრანსფერი | 606372 | 604584 | 99 | 1788 |

*ცხრილი N2. შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები.*

### სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლებიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 379 452 ლარს, რაც 2015 წლის საპროგნოზო მაჩვენებლის (324 375 ლარი) 116,97 პროცენტია.

### არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობა შეადგენს 6 607 ლარს. 2015 წლის საპროგნოზო მაჩვენებლით არაფინანსური აქტივების კლება არ იყო გათვალისწინებული.

### გადასახდელები

მუნიციპალიტეტის 2015 წლიური დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 8 815 500 ლარის ხარჯების გაწევა, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტით 8 944 696 ლარის.

| *დასახელება* | *დაზუსტებული გეგმა* | *საკასო შესრულება* | *შესრულების %* | *დაუფინანსებელი თანხა* |
|---|---|---|---|---|
| **ხარჯები** | **4823403** | **4695116** | **97,34** | **128287** |
| შრომის ანაზღაურება | 1412242 | 1411397 | 99,94 | 845 |
| საქონელი და მომსახურება | 955640 | 845954 | 88,52 | 109686 |
| სუბსიდია | 1421180 | 1419867 | 99,90 | 1313 |
| გრანტი | 204000 | 204000 | 100.00 | 0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 463559 | 458985 | 99,01 | 4574 |
| სხვა ხარჯები | 366782 | 354913 | 96,76 | 11869 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **4120043** | **3883272** | **94,25** | **236771** |
| **ვალდებულების კლება** | **1250** | **1250** | **100** | **0** |
| **ჯამი** | 8944696 | 8579638 | | 365058 |

*ცხრილი N3. შუახევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის გადასახდელები.*

როგორც ცხრილიდან ჩანს, ფაქტობრივად გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 8 579 638 ლარს, რაც ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის 95,91 პროცენტია. დაუფინანსებელი ხარჯების მოცულობამ კი 365 058 ლარი შეადგინა.

## აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

უფროსი აუდიტორი /ჯგუფის ხელმძღვანელი/ ირაკლი ანანიძე

აუდიტორ-ასისტენტი /ჯგუფის წევრი/ რამაზ დიასამიძე

15.12.2016წ.

შუახევის მუნიციპალიტეტი - 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

| კოდი | აქტივები | ანგარიშის ნომერი | ნაშთი წლის დასაწყისისათვის | ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | **I. ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები** | | | |
| 010 | ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში | 1100 | | |
| 020 | ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში | 1120 | | |
| 030 | საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში | 1211 | | |
| 040 | სავალუტო ანგარიში ბანკში | 1212 | | |
| 050 | დეპოზიტები ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 1213 | | |
| 060 | დეპოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში | 1214 | | |
| 070 | სხვა ანგარიშები ბანკში | 1215 | | |
| 080 | ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის | 1221 | | |
| 090 | სანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის | 1222 | | |
| 100 | დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში | 1223 | | |
| 110 | დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში | 1224 | | |
| 120 | სხვა ანგარიშები ხაზინაში | 1225 | | |
| 130 | სხვა ფინანსური აქტივები | 1300 | | |
| 140 | მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1410 | | |
| 150 | მოთხოვნები მივლინებით | 1421 | | |
| 160 | მოთხოვნები დანაკლისებით | 1422 | | |
| 170 | ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები | 1423 | | |
| 180 | გადახდილი დღგ | 1431 | | |
| 190 | წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი | 1432 | | |
| 200 | სხვა საგადასახადო აქტივი | 1433 | | |
| 210 | წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა | 1441 | | |
| 220 | მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით | 1442 | | 794860 |
| 230 | მისაღები პროცენტები | 1443 | | |
| 240 | მისაღები დივიდენდები | 1444 | | |
| 250 | მისაღები საწევროები და ერთჯერადი შენატანები | 1445 | | |
| 260 | სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები | 1446 | | |
| | **II. არაფინანსური აქტივები** | | | |
| 270 | შენობა-ნაგებობები | 2110 | 12031753 | 14546153 |
| 280 | მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები | 2120 | 463971 | 371533 |
| 290 | სხვა ძირითადი აქტივები | 2130 | | |
| 300 | სტრატეგიული მარაგები | 2210 | | |
| 310 | სხვა მატერიალური მარაგები | 2220 | | |
| 320 | ფასეულობები | 2300 | | |
| 330 | არაწარმოებული აქტივები | 2400 | 479445 | 376121 |
| | ბალანსი | | 12975169 | 16088667 |

| კოდი | ვალდებულებები და კაპიტალი | ანგარიშის ნომერი | ნაშთი წლის დასაწყის ისა თვის | ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| **I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები** | | | | |
| 340 | ფინანსური ვალდებულებები | 3100 | | |
| 350 | ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან | 3210 | | |
| 360 | გადასახდელი მოგების გადასახადი | 3221 | | |
| 370 | გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი | 3222 | | |
| 380 | გადასახდელი დღგ | 3223 | | |
| 390 | ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები | 3224 | | |
| 400 | გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის | 3231 | | |
| 410 | გადასახდელი ხელფასები შტატგარეშე მომუშავეთათვის | 3232 | | |
| 420 | გადასახდელი სტიპენდიები | 3233 | | |
| 430 | ვალდებულებები მივლინებით | 3234 | | |
| 440 | სოციალური დაზღვევის ანარიცხები | 3235 | | |
| 450 | სოციალური დახმარებით ვალდებულებები | 3236 | | |
| 460 | აღმასრულებელი ფურცლით და სხვა დაკავებები | 3237 | | |
| 470 | ვალდებულებები დეპონენტების მიმართ | 3238 | | |
| 480 | წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა | 3241 | | |
| 490 | ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით | 3242 | | |
| 500 | გადასახდელი პროცენტები | 3243 | | |
| 510 | გადასახდელი დივიდენდები | 3244 | | |
| 520 | გადასახდელი საწევროები და ერთჯერადი შენატანები | 3245 | | |
| 530 | სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები | 3246 | | |
| **II. კაპიტალი** | | | | |
| 540 | წმინდა ღირებულება | 5100 | 12975169 | 16088667 |
| 550 | გაუნაწილებელი მოგება | 5230 | | |
| 560 | დაუფარავი ზარალი* | 5240 | | |
| | ბალანსი | | 12975169 | 16088667 |
| **III. საცნობარო მუხლები** | | | | |
| 570 | საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები | 01 | | |
| 580 | პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები | 02 | | |
| 590 | გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება | 03 | | |
| 600 | ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექპლუატაციაში | 04 | 307519 | 368578 |
| 610 | პირობითი მოთხოვნები | 05 | | |
| 620 | პირობითი ვალდებულებები | 06 | | |
| 630 | საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა | 07 | 45516 | 45516 |

## ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

| სტრიქონის კოდი | ხარჯების ჩამონათვალი | კოდი | დამტკიცებული გეგმით | დაზუსტებული გეგმით | ვალდებულება | მოთხოვნა | გადახდა (საკასო ხარჯი) | ფაქტობრივი ხარჯი | გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 010 | **1. ხარჯები** | **2** | 3291027.00 | 3402223.00 | 1863852.00 | 3275249.00 | 3275249.00 | 3293977.00 | 18728.00 |
| 020 | **1.1 შრომის ანაზღაურება** | **21** | 1412242.00 | 1412242.00 | | 1411397.00 | 1411397.00 | 1412717.00 | 1320.00 |
| 030 | **1.1.1 ხელფასები** | **211** | 1412242.00 | 1412242.00 | | 1411397.00 | 1411397.00 | 1412717.00 | 1320.00 |
| 040 | 1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით | 2111 | 1412242.00 | 1412242.00 | | 1411397.00 | 1411397.00 | 1412717.00 | 1320.00 |
| 050 | 1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო | 21111 | 1030625.00 | 1030625.00 | | 1029780.00 | 1029780.00 | 1031100.00 | 1320.00 |
| 060 | 1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო | 21112 | | | | | | | |
| 070 | 1.1.1.1.3 პრემია | 21113 | 381617.00 | 381617.00 | | 381617.00 | 381617.00 | 381617.00 | |
| 080 | 1.1.1.1.4 დანამატი | 21114 | | | | | | | |
| 090 | 1.1.1.1.5 ჰონორარი | 21115 | | | | | | | |
| 100 | 1.1.1.1.6 კომპენსაცია | 21116 | | | | | | | |
| 110 | 1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით | 2112 | | | | | | | |
| 120 | **1.1.2 სოციალური შენატანები** | **212** | | | | | | | |
| 130 | 1.1.2.1. ფაქტიურად განხორციელებული სოციალური შენატანები | 2121 | | | | | | | |
| 140 | 1.1.2.2. პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები | 2122 | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **1.2 საქონელი და მომსახურება** | | 954990.00 | 955640.00 | 845954.00 | 845954.00 | 845954.00 | 863362.00 | 17408.00 |
| | 2.1.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | 46500.00 | 46500.00 | 46087.00 | 46087.00 | 46087.00 | 46087.00 | |
| 170 | 2.1.2 მივლინებები | 222 | 20440.00 | 20440.00 | 18583.00 | 18583.00 | 18583.00 | 18583.00 | |
| 180 | 2.1.3 ოფისის ხარჯები | 223 | 115828.00 | 115828.00 | 92748.00 | 92748.00 | 92748.00 | 97486.00 | 4738.00 |
| 190 | 2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები | 224 | 6200.00 | 6200.00 | 6039.00 | 6039.00 | 6039.00 | 6039.00 | |
| 200 | 2.1.5 კვების ხარჯები | 225 | | | | | | | |
| 210 | 2.1.6 სამედიცინო ხარჯები | 226 | | | | | | | |
| 220 | 2.1.7 რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის | 227 | | | | | | | |
| | საგნების შეძენის ხარჯები | | | | | | | | |
| 230 | 2.1.8 ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და | 228 | 113070.00 | 113070.00 | 102109.00 | 102109.00 | 102109.00 | 109945.00 | 7836.00 |
| | მოვლა-შენახვის ხარჯები | | | | | | | | |
| 240 | 2.1.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები | 229 | | | | | | | |
| 250 | 2.1.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 2210 | 652952.00 | 653602.00 | 580388.00 | 580388.00 | 580388.00 | 585222.00 | 4834.00 |
| 260 | **1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება** | **23** | | | | | | | |
| 270 | **1.4 პროცენტი** | **24** | | | | | | | |
| 280 | **1.4.1 საგარეო ვალზე** | 241 | | | | | | | |
| 290 | 1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე | 2411 | | | | | | | |
| 300 | 1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე | 2412 | | | | | | | |
| 310 | 1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე | 2413 | | | | | | | |
| 320 | 1.4.1.4 სხვა საგარეო ვალზე | 2414 | | | | | | | |
| 330 | **1.4.2 საშინაო ვალზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა** | 242 | | | | | | | |
| 340 | **1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალზე** | 243 | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 350 | **1.5 სუბსიდიები** | **25** | | | | | | | |
| 360 | **1.6 გრანტები** | **26** | 204000.00 | 204000.00 | 204000.00 | 204000.00 | 204000.00 | 204000.00 | |
| 370 | **1.6.1 უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს** | **261** | | | | | | | |
| 380 | 1.6.1.1 მიმდინარე | 2611 | | | | | | | |
| 390 | 1.6.1.2 კაპიტალური | 2612 | | | | | | | |
| 400 | **1.6.2 საერთაშორისო ორგანიზაციებს** | **262** | | | | | | | |
| 410 | 1.6.2.1 მიმდინარე | 2621 | | | | | | | |
| 420 | 1.6.2.2 კაპიტალური | 2622 | | | | | | | |
| 430 | **1.6.3 სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს** | **263** | | | | | | | |
| 440 | 1.6.3.1 მიმდინარე | 2631 | | | | | | | |
| 450 | 1.6.3.2 კაპიტალური | 2632 | | | | | | | |
| 460 | **1.7 სოციალური უზრუნველყოფა** | **27** | 239115.00 | 463559.00 | 458985.00 | 458985.00 | 458985.00 | 458985.00 | |
| 470 | **1.7.1 სოციალური დაზღვევა** | **271** | | | | | | | |
| 480 | 1.7.1.1 ფულადი ფორმით | 2711 | | | | | | | |
| 490 | 1.7.1.2. სასაქონლო ფორმით | 2712 | | | | | | | |
| 500 | **1.7.2 სოციალური დახმარება** | **272** | 234390.00 | 458834.00 | 454265.00 | 454265.00 | 454265.00 | 454265.00 | |
| 510 | 1.7.2.1 ფულადი ფორმით | 2721 | 210790.00 | 435234.00 | 430828.00 | 430828.00 | 430828.00 | 430828.00 | |
| 520 | 1.7.2.2. სასაქონლო ფორმით | 2722 | 23600.00 | 23600.00 | 23437.00 | 23437.00 | 23437.00 | 23437.00 | |
| 530 | **1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება** | **273** | 4725.00 | 4725.00 | 4720.00 | 4720.00 | 4720.00 | 4720.00 | |
| 540 | 1.7.3.1 ფულადი ფორმით | 2731 | 4725.00 | 4725.00 | 4720.00 | 4720.00 | 4720.00 | 4720.00 | |
| 550 | 1.7.3.2. სასაქონლო ფორმით | 2732 | | | | | | | |
| 560 | **1.8 სხვა ხარჯები** | **28** | 480680.00 | 366782.00 | 354913.00 | 354913.00 | 354913.00 | 354913.00 | |
| 570 | **1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა** | **281** | | | | | | | |
| 580 | 1.8.1.1 დივიდენდები | 2811 | | | | | | | |
| 590 | 1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები | 2812 | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 600 | 1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლი სის მფლობელებზე ვრცელდება | 2813 | | | | | | | |
| 610 | 1.8.1.4 რენტა | 2814 | | | | | | | |
| 500 | **1.8.2 სხვადასხვა ხარჯები** | **282** | 480680.00 | 366782.00 | 354913.00 | 354913.00 | 354913.00 | 354913.00 | |
| 510 | 1.8.2.1 მიმდინარე | 2821 | 480680.00 | 366782.00 | 354913.00 | 354913.00 | 354913.00 | 354913.00 | |
| 520 | 1.8.2.2 კაპიტალური | 2822 | | | | | | | |

მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ

| მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | სახელმწიფო ბიუჯეტით | | არასაბიუჯეტო | |
|---|---|---|---|---|
| | წლიური გეგმით | ფაქტიურად | წლიური გეგმით | ფაქტი ურად |
| 1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა | 105 | 105 | | |
| 2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა | 9 | 9 | | |

## ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

| სტრიქონის კოდი | არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი | არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები | დამტკიცებული გეგმით | დაზუსტებული გეგმით | ვალდებულება | მოთხოვნა | გადახდა (საკასო ხარჯი) | ფაქტობრივი ხარჯი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 010 | **1. არაფინანსური აქტივები** | **31** | 4102043 | 4120043 | 3883272 | 3883272 | 3883272 | |
| 020 | **1.1 ძირითადი აქტივები** | **311** | 4102043 | 4120043 | 3883272 | 3883272 | 3883272 | |
| 030 | **1.1.1 შენობა-ნაგებობები** | **3111** | 4008493 | 4026493 | 3796626 | 3796626 | 3796626 | |
| 040 | 1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები | 31111 | | | | | | |
| 050 | 1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები | 31112 | 169585 | 169585 | 166660 | 166660 | 166660 | |
| 060 | 1.1.1.3 სხვა ნაგებობები | 31113 | 3838908 | 3856908 | 3629966 | 3629966 | 3629966 | |
| 070 | **1.1.2 მანქანა-დანადგარები** | **3112** | 93550 | 93550 | 86646 | 86646 | 86646 | |
| 080 | 1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები | 31121 | | | | | | |
| 090 | 1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები | 31122 | 93550 | 93550 | 86646 | 86646 | 86646 | |
| 100 | **1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები** | **3113** | | | | | | |
| 110 | 1.1.3.1 კულტივირებული აქტივები | 31131 | | | | | | |
| 120 | 1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები | 31132 | | | | | | |
| 130 | 1.1.3.2.1 ლიცენზიები | 311321 | | | | | | |
| 140 | 1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები | 311322 | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 170 | **1.2 მატერიალური მარაგები** | **312** | | | | | | |
| 180 | **1.2.1 სტრატეგიული მარაგები** | **3121** | | | | | | |
| 190 | **1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები** | **3122** | | | | | | |
| 200 | 1.2.2.1 ნედლეული და მასალები | 31221 | | | | | | |
| 210 | 1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება | 31222 | | | | | | |
| 220 | 1.2.2.3 მზა პროდუქცია | 31223 | | | | | | |
| 320 | **1.4.1 მიწა** | **3141** | | | | | | |
| 330 | **1.4.2 წიაღისეული** | **3142** | | | | | | |
| 340 | **1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები** | **3143** | | | | | | |
| 350 | 1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია | 31431 | | | | | | |
| 360 | 1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები | 31432 | | | | | | |
| 370 | **1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები** | **3144** | | | | | | |

## ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

| სტრიქონის კოდი | ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი | ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები | დამტკიცებული გეგმით | დაზუსტებული გეგმით | ვალდებულება | მოთხოვნა | გადახდა (საკასო ხარჯი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 010 | **1. ფინანსური აქტივები** | **32** | 100193 | 100193 | 100193 | 100193 | 100193 |
| 020 | **1.1 საშინაო** | **321** | 100193 | 100193 | 100193 | 100193 | 100193 |
| 030 | 1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები | 3212 | | | | | |
| 040 | 1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 3213 | | | | | |
| 050 | 1.1.3 სესხები | 3214 | | | | | |
| 060 | 1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი | 3215 | 100193 | 100193 | 100193 | 100193 | 100193 |
| 070 | 1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 3216 | | | | | |
| 080 | 1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 3217 | | | | | |
| 090 | 1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები | 3218 | | | | | |
| 100 | **1.2 საგარეო** | **322** | | | | | |
| 110 | 1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები | 3222 | | | | | |
| 120 | 1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 3223 | | | | | |
| 130 | 1.2.3 სესხები | 3224 | | | | | |
| 140 | 1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი | 3225 | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 150 | 1.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 3226 | | | | | |
| 160 | 1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 3227 | | | | | |
| 170 | 1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანებები | 3228 | | | | | |
| 180 | **1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება** | **323** | | | | | |
| 190 | **2. ვალდებულებები** | **33** | 20610 | 20610 | 20610 | 1250 | 1250 |
| 200 | **2.1 საშინაო** | **331** | 20610 | 20610 | 20610 | 1250 | 1250 |
| 210 | 2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები | 3312 | | | | | |
| 220 | 2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 3313 | | | | | |
| 230 | 2.1.3 სესხები | 3314 | | | | | |
| 240 | 2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები) | 3315 | | | | | |
| 250 | 2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 3316 | | | | | |
| 260 | 2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 3317 | | | | | |
| 270 | 2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები | 3318 | 20610 | 20610 | 20610 | 1250 | 1250 |
| 280 | **2.2 საგარეო** | **332** | | | | | |
| 290 | 2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები | 3322 | | | | | |
| 300 | 2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 3323 | | | | | |
| 310 | 2.2.3 სესხები | 3324 | | | | | |
| 320 | 2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები) | 3325 | | | | | |
| 330 | 2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 3326 | | | | | |
| 340 | 2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 3327 | | | | | |
| 350 | 2.2.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები | 3328 | | | | | |

წმინდა ღირებულების ანგარიშზე თანხების მოძრაობა

| ანგარიშის № | დებეტი | თანხა | ანგარიშის № | კრედიტი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| | ნაშთი წლის დასაწყისისათვის | 0 | | ნაშთი წლის დასაწყისისათვის | 13075366 |
| 7100 | მომუშავეთა ანაზღაურება | 1411397 | 4100 | ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | 7158521 |
| 7200 | საქონლისა და მომსახურების გამოყენება | 824679 | 6000 | შემოსავლები | |
| 7300 | ძირითადი კაპიტალის მოხმარება | 624600 | 6100 | მ. შ. გადასახადები | |
| 7310 | მ. შ. ფიზიკური ცვეთა | 624600 | 6200 | სოციალური შენატანები | |
| 7400 | პროცენტები | | 6300 | გრანტები | |
| 7500 | სუბსიდიები | | 6400 | სხვა შემოსავლები | |
| 7600 | გრანტები | 204000 | | | |
| 7700 | სოციალური დახმარებები | 458985 | | | |
| 7800 | სხვა ხარჯები | 349276 | | | |
| 1300 2000 | აქტივების უსასყიდლოდ გაცემა | 398779 | 1300 2000 | აქტივების უსასყიდლოდ მიღება | 226689 |
| 2100 | მ. შ. ძირითადი აქტივების | 259050 | 2100 | მ. შ. ძირითადი აქტივების | 208285 |
| 2200 | მატერიალური მარაგების | | 2200 | მატერიალური მარაგების | |
| 2300 | ფასეულობების | | 2300 | ფასეულობების | |
| 2400 | არაწარმოებული აქტივების | 139729 | 2400 | არაწარმოებული აქტივების | 18404 |
| 1300 | ფინანსური აქტივების | | 1300 | ფინანსური აქტივების | |
| 8000 | სხვა ეკონომიკური ნაკადები | | 8000 | სხვა ეკონომიკური ნაკადები | |
| 8100 | მ. შ. ზარალი ფლობიდან | | 8100 | მ. შ. მოგება ფლობიდან | |
| 8200 | სხვა მოცულობითი ცვლილებები | | 8200 | სხვა მოცულობითი ცვლილებები | |
| 3224 | ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები* | | | | |
| | ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს | 4271716 | | ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს | 20460576 |

## ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

| სტრიქონის კოდი | შემოსავლები | | სულ | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | გეგმით | საკასო | ფაქტიური |
| 1 | 2 | | 3 | 4 | 5 |
| 010 | ნაშთი წლის დასაწყისისათვის | | | | |
| 020 | **საანგარიშო პერიოდის სხვა შემოსავლები** | | | | |
| 030 | მათ შორის სახეების მიხედვით | | | | |
| 040 | ა) შემოსავლები საკუთრებიდან | | | | |
| 050 | ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | | | | |
| 060 | გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები | | | | |
| 070 | დ) ნებაყოფილებითი ტრანსფერები, გრანტების გარდა | | | | |
| 080 | ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | | | | |
| 090 | **1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით** | **კოდი** | | | |
| 100 | 1.1. შრომის ანაზღაურება | **21** | | | |
| 110 | 1.2.. საქონელი და მომსახურება | **22** | | | |
| 120 | 1.3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება | **23** | | | |
| 130 | 1.4. პროცენტი | **24** | | | |
| 140 | 1.5. სუბსიდიები | **25** | | | |
| 150 | 1.6. გრანტები | **26** | | | |
| 160 | 1.7. სოციალური უზრუნველყოფა | **27** | | | |
| 170 | 1.8. სხვა ხარჯები | **28** | | | |
| 180 | **2. არაფინანსური აქტივები** | **31** | | | |
| 190 | 2.1 ძირითადი აქტივები | 311 | | | |
| 200 | 2.2 მატერიალური მარაგები | 312 | | | |
| 210 | 2.3 ფასეულობები | 313 | | | |
| 220 | 2.4 არაწარმოებული აქტივები | 314 | | | |
| 230 | **3. ფინანსური აქტივები** | **32** | | | |
| 240 | 3.1 საშინაო | 321 | | | |
| 250 | 3.2 საგარეო | 322 | | | |
| 260 | 3.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება | 323 | | | |
| 270 | **4.ვალდებულებები** | **33** | | | |
| 280 | 4.1 საშინაო | 331 | | | |
| 290 | 4.2 საგარეო | 332 | | | |
| 300 | **ბიუჯეტში გადახდილი თანხები** | | | | |
| 310 | ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს | | | | |

## ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ

| | | უცხოურ ვალუტაში | ეროვნულ ვალუტაში | სულ თანხა ლარებში | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გეგმიური | საკასო | ფაქტიური |
| 1 | **გრანტის მთლიანი მოცულობა** | | | | | |
| 2 | მ.შ მიღებული თანხა | | | | | |
| 3 | მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა | | | | | |
| 4 | მ.შ უკანასკნელი ჩარიცხვა | | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნაშთი პერიოდის დასაწყისში | | | |
| 2 | მიმდინარე წლის მოცულობა | | | |
| 3 | სულ მიმდინარე წლის შემოსულობა (1+2) | | | |
| 4 | შრომის ანაზღაურება | | | |
| 5 | საქონელი და მომსახურება | | | |
| 6 | პროცენტი | | | |
| 7 | სუბსიდიები | | | |
| 8 | გრანტები | | | |
| 9 | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| 10 | სხვა ხარჯები | | | |
| 11 | არაფინანსური აქტივები | | | |
| 12 | ფინანსური აქტივები | | | |
| 13 | ვალდებულებები | | | |
| 14 | სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა | | | |

## ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

| | | | მ ი ღ ე ბ ა | | | | გ ა ს ვ ლ ა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | არაფინანსური აქტივების დასახელება | ნაშთი წლის დასაწყისისათვის | შესყიდვით | უსასყიდლოდ | სხვა ეკონომიკური ნაკადებით | საკუთარი სახსრებით | გაყიდვით | უსასყიდლოდ | სხვა ეკონომიკური ნაკადებით | ჩამოწერა | ძირითადი კაპიტალის მოხმარება | საქონლის და მომსახურების გამოყენება | ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს |
| 010 | **1. ძირითადი აქტივები** | 12425224 | 3087176 | 208285 | | | 1240 | 257810 | | | 607308 | | 14854327 |
| 020 | 1.1 შენობა-ნაგებობები | 12027949 | 2934966 | 164460 | | | 1240 | 69914 | | | 518053 | | 14538168 |
| 030 | 1.1.1 საცხოვრებელი შენობები | | | | | | | | | | | | |
| 040 | 1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები | 2691385 | 684774 | 142760 | | | 1240 | 69914 | | | 50205 | | 3397560 |
| 050 | 1.1.3 სხვა ნაგებობები | 9336564 | 2250192 | 21700 | | | | | | | 467848 | | 11140608 |
| 060 | 1.2 მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები | 397275 | 152210 | 43825 | | | | 187896 | | | 89255 | | 316159 |
| 070 | 1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები | 291324 | 93065 | 43825 | | | | 187772 | | | 47165 | | 193277 |
| 080 | 1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები | 105951 | 59145 | | | | | 124 | | | 42090 | | 122882 |
| 090 | 1.3 სხვა ძირითადი აქტივები | | | | | | | | | | | | |
| 100 | 1.3.1 კულტივირებული აქტივები | | | | | | | | | | | | |
| 110 | 1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები | | | | | | | | | | | | |
| 120 | 1.3.2.1 ლიცენზიები | | | | | | | | | | | | |
| 130 | 1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები | | | | | | | | | | | | |
| 140 | 1.3.3 დაუმთავრებელი მშენებლობა | | | | | | | | | | | | |
| 150 | 1.3.4 სხვა დანარჩენი აქტივები | | | | | | | | | | | | |
| 160 | **2. მატერიალური მარაგები** | | 109174 | | | | | | | | | 109174 | |
| 170 | 2.1. სტატეგიული მარაგები | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 180 | 2.2. სხვა მატერიალური მარაგები | | 109174 | | | | | | | | | 109174 | |
| 190 | 2.2.1. ნედლეული და მასალები(საწვავი, შეშა,საკანცელარიო) | | 65382 | | | | | | | | | 65382 | |
| 200 | 2.2.2 მზა პროდუქცია | | | | | | | | | | | | |
| 210 | 2.2.3. დაუმთავრებელი წარმოება | | | | | | | | | | | | |
| 220 | 2.2.4 მზა პროდუქცია | | | | | | | | | | | | |
| 230 | 2.2.5 სათადარიგო ნაწილები | | 26877 | | | | | | | | | 26877 | |
| 240 | 2.2.6 ფულადი დოკუმენტები | | | | | | | | | | | | |
| 250 | 2.2.7 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები | | 16915 | | | | | | | | | 16915 | |
| 260 | **3. ფასეულობები** | | | | | | | | | | | | |
| 270 | 3.1. ძვირფასი ქვები და ლითონები | | | | | | | | | | | | |
| 280 | 3.2. ხელოვნების ნიმუშები | | | | | | | | | | | | |
| 290 | 3.3. სხვა ფასეულობები | | | | | | | | | | | | |
| 300 | **4. არაწარმოებული აქტივები** | **479446** | **18000** | **18404** | | | | **139729** | | | | | **376121** |
| 310 | 4.1 მიწა | 479446 | 18000 | 18404 | | | | 139729 | | | | | 376121 |
| 320 | 4.2 წიაღისეული | | | | | | | | | | | | |
| 330 | 4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები | | | | | | | | | | | | |
| 340 | 4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრი | | | | | | | | | | | | |
| 350 | 4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები | | | | | | | | | | | | |
| 360 | 4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები | | | | | | | | | | | | |

### ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

| მაჩვენებელთა დასახელება | ბიუჯეტით | | არასაბიუჯეტო სახსრებით | | სულ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საკასო ხარჯები | ფაქტიური ხარჯები | საკასო ხარჯები | ფაქტიური ხარჯები | საკასო ხარჯები | ფაქტიური ხარჯები |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა სულ 13 | 102109 | 109945 | | | 102109 | 109945 |
| მ.შ. მსუბუქი მანქანები სულ -------------- | 102109 | 109945 | | | 102109 | 109945 |
| აქედან ა) პერსონალური სარგებლობის --------------- | | | | | | |
| ბ) სამსახურებრივი მიმოსვლის 13 | | | | | | |
| გ) ოპერატიული და სპეცდანიშნულების --------------- | | | | | | |